ოქმი:**ო37. 3723080001**

თარიღი:**21/03/2023**

ოქმი # 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 17 მარტი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მისაღებად, ანგარიშის განხილვისა და შემდგომი პროცედურების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

2.“ქალაქ ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების მიზნით მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის(შეთანხმების)შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, ამასთან N2 და 3 საკითხები განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N 1 განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი